საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1293

2020 წლის 22 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^9 პუნქტი:

„8^9. სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ საკუთარი სახსრებით უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების ეპიდემიოლოგიური კონტროლის განხორციელებისა და ახალ კორონავირუსზე (SARS-CoV-2) სწრაფი მარტივი ტესტირების სათანადოდ ჩატარებისათვის აუცილებელი სპეციალური/დროებითი სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირების მიზნით შესაბამისი სპეციალურად აღჭურვილი ჯიხურებით/კონტეინერებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**